№ 274 მთავრობის მოამბე

# საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი

წელიწადი მესამე

ფასი 10 მან. ხუთშაბათი, დეკემბრის 2 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ხე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 120 მ. ნისია განცხ. დამატებული ღირს ნიხრზე მეტი 20% რედაქციის და კანტ მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—83.

## ქიზიყ-კახეთის საავჭრო-სამრეწველო
## და
## საასოციელო სამეურნეო ბანკის

(ქალ. სიღნაღში) საორგანიზაციო კომიტეტი ამით აცხადებს, რომ

## ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ

ამა წლის 14 ნოემბერს

ხსენებულ ბანკის წესდება დაამტკიცა.

**ძირითადი თანხა განკისა** პირველ ხანად არის განსაზღვრული **20 (ოცი) მილიონი მანეთით,** თითო აქცია ღირს ათასი (1000) მანეთი ხუთი აქცია იძლევა ერთი ხმის უფლებას.

ხელის მოწერის დროს უნდა იქნეს შემოტანილი აქციის ღირებულების ნახევარი (500 მანეთი) და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად ერთ დროულათ ასი (100) მანეთი აქციაზე.

**ხელის მოწერა მიიღება:** 1920 წლის დეკემბრის 6 (ორშაბათი), 7 (სამშაბათი), 8 (ოთხშაბათი), 9 (ხუთშაბათი), 10 (პარასკევი) და 11 (შაბათი).

## ქალაქ სიღნაღში: საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში

**ქალაქ ტფილისში: „ცენტრობანკში“** (პუშკინის ქ. 3) **და „ალზიორაში“** (პლეხანოვის პრ. № 5). **სოფ. გურჯაანში, ველისციხეში, ჯუგაანში, და ქვემო-მარხაანში საკრედიტო ამხანაგობებში.**

საორგანიზაციო კომიტეტი ამითვე აცხადებს, რომ აქციონერთა პირველი დამფუძნებელი კრება დანიშნული 26 დეკემბერს 1920 წელს სიღნაღის ახალ კლუბის დარბაზში ნაშუადღევის 12 საათზედ.

**განსახილველი საკითხები:**

1. საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენება, 2. სიღნაღის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისაგან აქტივისა და პასივის მიღება, 3. 1921 წლის ხარჯი-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება, 4) არჩევნები საბჭოს გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა და 5. მიმდინარე საკითხები.

**საორგანიზაციო კომიტეტი**

1013 3—1

---

**სახელმწ. თეატრი.**

**ოპერა.**

ხუთშაბათს 2 დეკემბერს საბალეტო წარმოდგენა მ. მორდკინის

## „ქიზელი“

პარასკევს 3 დეკემბერს ქართულ ენაზე ოპერა „ლალატი“. შაბათს 4 დეკემბერს ოპერა მუშებისათვის „მეფის საკოლო“, კვირას 5 დეკემბერს „ქეთო და კოტე“. დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს.

1002 1—1

---

## სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთველის პრ. № 21. ტელ. 8-07)

ხუთშაბათს, დეკემბრის 2-ს მეორეჯერ

## „ზღვასთან“

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. რეჟისერი **მ. ჭორელი.**

შაბათს, დეკემბრის 4-ს პირველად ქართულ ენაზე ორიგინალური ტრაგედია

**„გერდო-ზმანია“** **ალ. ზანშიაშვილისა.**

**ახალი დეკორაციები ტანისამოსი მხატვ. ვალ. ხიდამშენ-ერისთავისა.**

**მუსიკა დ. არაყიშვილისა.** **ბალეტი და ხორო.**

რეჟისორი **ალ. ახმეტელი.**

**ბილეთები კასაში.**

1012 2—2

---

## აკაკი მეთოდეს ძე ხოშტარიას
## მთავარი კონტორა

**აცხადებს,**

რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს მიერ მოცემული მოწმობით,

(8 **ნოემბერს 1920 წ. № 218**),

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ნებართვით და 1913 წლის გამოც. კანონთა კრებულის მე-II-რე ტომ. მეორე ნაწილის 127, 129, 132 და 135 მუხ. თანახმად მას,

## აკაკი მეთოდეს ძე ხოშტარიას

მიეცა ნება, მხოლოდ მან ისარგებლოს 20 წლის განმავლობაში ტფილისში მის მიერ კუთვნილი საპნის ქარხნის, ამასთანავე დართულ საქონლის ნიშნით.

მთავარი კონტორის გამგე **ქ. ხ. ამირჯიბი.**

1010 2—2

---

**ოფიციალური განყოფილება.**

## განკარგულება
**იუსტიციის მინისტრისაგან.**

**ცირკულიარი.**

სასამართლო პალატის თავმჯდომარეს, ტფილისის და ქუთაისის ოლქის სასამართლოთა და ყველა სამომრიგებლო ყრილობათა თავმჯდომარეებს.

1919 წლის თებერვლის 25-ს ბრძანების შესაცვლელად, და დასამატებლად, მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და ასასრულებლად შემდეგი:

1) 1921 წლის იანვრის პირველიდან ყველა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმე უნდა სწარმოებდეს სახელმწიფო ენით.

**შენიშვნა:** ეს წესი არ ეხება სოხუმის ოლქის სასამართლოებს, რომელთათვის გამოცემული იქნება ცალკე წესები.

2) ძველი დაწყებული საქმეები, რომელიც არა ქართულზე არიან ნაწარმოები უნდა დამთავრებულ იქმნეს სახელმწიფო ენით. უკვე წარდგენილ საბუთების და სხვა ქაღალდების გადათარგმნა სავალდებულო არ არის. ამიერიდან კი არა სახელმწიფო ენაზედ შედგენილი საბუთები უნდა წარდგენილ იქმნეს თარგმანების დართვით სახელმწიფო ენაზედ.

3) მომრიგებელ - მოსამართლენი ვალდებულნი არიან საქმეების გარჩევის დროს იხელმძღვანელონ ენის ხმარების მხრივ მომრიგებელ-მოსამართლეთა დებულების (იხ. კან. 66 1918 წ. კრებული 16—17—18 მუხლებით).

4) სასამართლოს პროკურორებს ევალებათ თვალყური ადევნონ ამ ცირკულიარის სავსებით ასრულებას.

იუსტიციის მინისტრი **რ. არსენიძე.**

# საქართველოს ხალხს!

ამ ექვსი წლის წინად ამტყდარი დიდი ომი, მიუხედავად მრავალ საზავო ხელშეკრულებათა დადებისა, ჯერ კიდევ არ დაბოლოვებულა მთლად. ამასთანავე დამარცხებულ ქვეყნებში დაწყებული რევოლიუციური მოძრაობა ზოგან განსაკუთრებით რუსეთში სამოქალაქო ომით დამთავრდა, რაიც კიდევ უფრო აფერხებს საერთაშორისო მშვიდობიანობის დამყარებას.

ეს მუდმივი საერთაშორისო მიუსვენრობა და გართულება ახდენს თავის უარყოფითი გავლენას ჩვენს თავისუფალ სამშობლოზედაც; ცეცხლის ალი არამც თუ არ შორდება მას, არამედ უახლოვდება კიდეც. არ არის სრულიად მოულოდნელი, რომ დიდ სახელმწიფოთა ურთიერთა ქიშპობამ და ინტერესთა წინააღმდეგობამ თვით ჩვენი ტერიტორია გახადოს, **ჩვენდა დამოუკიდებლად, სამხედრო მოქმედების ასპარეზად.**

დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა დამფუძნებელი კრება და მთავრობა მტკიცეთ იცავდენ თავიდანვე საქვეყნოდ აღიარებულ **ნეიტრალობის** პრინციპს; მათ ერთხელაც არ უღალატნიათ მისთვის, ერთხელაც არ უფიქრნიათ მეზობელ სახელმწიფოთა საქმეში ჩარევა ან კიდევ მათი უფლების და ტერიტორიულ ხელუხლებლობის შელახვა. ასეთს ნაბიჯს შეუძლებლად ჰხდის თვით ჩვენი სახელმწიფოს უაღრესად **დემოკრატიული** წესწყობილება, აგებული **ერთა სოლიდარობის** საფუძველზე.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენი ხალხი არა ერთხელ გახდა იძულებული აესხა ფარ-ხმალი **მომხდომ** მტრის მოსაგერებლად; არა ერთხელ მოევლინა ჩვენი **მამაცი ჯარი** და **გვარდია** ხსნელად და მცველად დედა სამშობლოს, მის წმინდათა-წმინდას რევოლიუციურ მონაპოვართ, მის დიდებას და პატიოსნებას.

დღესაც იგივე წამ ახლოვდება ქართველ ერისათვის, იგივე **ომის აჩრდილი** ჩნდება მის წინ. ქემალ ფაშის ჯარმა, რომელმაც შეკრა **სომხეთს**, შესაძლოა ჩვენსკენ იბრუნოს პირი. ჩვენ გვაქვს მწარე გამოცდილება, ამ სამი წლის წინათ მიღებული, როცა ოსმალო პირისპირ ტკბილად გვებაასებოდა, ხოლო ზურგში მახვილსა გვცემდა, როცა მან ხელიდან გამოგვტაცა ჩვენი სისხლით და ოფლით მორწყული ბათომი

მართალია, საქართველო იგი არარის დღეს, რაც 1918 წ. იყო მან არამც თუ დაამსხვრია მონობის ბორკილები, არამედ **შეინარჩუნა** ბოლომდის დამოუკიდებლობა და თავისუფლება; მან დასდო ხელშეკრულება რუსეთთან, რომლის ძალით უკანასკნელმა **იცნო** მისი უდაო უფლება, როგორც ბათომზე, ისე მთელს ეხლანდელ მის ტერიტორიაზე; ის უკვე ჩაება საერთაშორისო ფერხულში, რასაც ხელს უწყობს მისი გეოგრაფიული მდებარეობაც...

მაგრამ, სანამ არ შეუქმნიათ ნამდვილი გარანტია მსოფლიო მშვიდობიანობისათვის, სანამ ჩვენს მეზობლად არ დამკვიდრებულა ნორმალური მდგომარეობა, საქართველო არ არის და არც შეიძლება იყოს დაზღვეული გარეშე ხიფათისაგან.

**ამიტომ თავდაცვის საქმე არის და ჯერ კიდევ დიდხანს იქნება ჩვენი სახელმწიფოს უპირველესი საზრუნავი საგანი.**

დამფუძნებელი კრება და მთავრობა ხმაროობენ ყოველ ღონეს, რომ კარგად მოაწყონ თავდაცვის საქმე, მაგრამ ეს **არ კმარა.**

საჭიროა **თვით ხალხმაც** გამოიჩინოს დროის შესაფერი სიფხიზლე და გამჭრიახობა, მანაც აამოქმედოს მთელი თავისი ცოცხალი ძალები, მანაც დაანახვოს მტერსა და მოყვარეს **საქმით,** რომ ის არ იშურებს **არასფერს** თავისუფალ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ერთი ასეთი საქმე არის **რესპუბლიკის თავდაცვის ფონდის** შექმნა, რომლის თავდარიგს შეუდგა მთავარი გამგეობა, შემდგარი **ყველა** ჩვენში მომქმედ პოლიტიკურ პარტიების, ერობათა, ქალაქთა, პროფესიულ და კოოპერატიულ კავშირთა ცენტრალურ დაწესებულებათა, დედა ქალაქის გამგეობის და ვაჭრობა-მრეწველობის პალატის წარმომადგენელთაგან.

მთავარ გამგეობის შემადგენლობა თავის თავად ცხადჰყოფს, რომ საქმე, რომელიც უკისრნია გამგეობას არ ს **უაღრესად ეროვნული და უდაო.** როცა კითხვა ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის ყოფნა-არყოფნას ეხება, მაშინ არ არის პარტია, არც კლასი, არც შთამომავლობა,—ყველა **ერთია,** ქართველი ერი, საქართველოს ხალხი ერთი ცოცხალი ორგანიზმია, აღტკინებული ერთი გრძნობით და გამსჭვალული შეუდრეკელი ნებისყოფით.

აქედან, თავდაცვის ფონდის შექმნაში უნდა მიიღოს მონაწილეობა ყველამ: **დიდმა და პატარამ, ქალმა და კაცმა, მდიდარმა და ღარიბმა.**

თავდაცვის ფონდი უნდა შესდგეს **ხორბლეულობისა და სხვა სასოფლო ნაწარმოებისა, ნივთეულობისა და ფულისაგან.**

ყველამ თავის აღლუბის და სოციალურ მდგომარეობის **შესაფერისი** წვლილი უნდა გაიღოს: გლეხმა პური, სიმინდი, ქერი, მატყლი და სხვ., მუშამ და მოსამსახურემ თავის შრომის ხელფასის ერთი ნაწილი, მდიდარმა ნივთეულობა და ფული.

განსაკუთრებულია ქალაქების მოვალეობა. ისინი ღირსი არ იქნებოდენ სამშობლოსათვის წამებულ მათი წინაპრებისა, რომ დაეშურათ მათ მიერ **სამკაულად** ხმარებული ერთი ოქროლირე ძვირფასი ნივთი საერთო სამსხვერპლოზე მისა ჯანად.

**საქართველოს ხალხო!**

გახსოვდეს, რომ შენ სდგეხარ შენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის საბოლოო ჩამოყალიბების **უკანასკნელ** საფეხურზე: კიდევ ერთი ნაბიჯი და შენ შეხვალ თავისუფალ ერთა ოჯახში სწორუფლებიან წევრად. შენ **საგმირო საქმეები** იპყრობს ევროპის სახელმწიფოთა ყურადღებას, საერთაშორისო დემოკრატია **აქტიურად** თანაუგრძნობს შენს დამოუკიდებელ არსებობას. სამი წლის შენი ჭაბუკური წყვეტა, სასტიკი ბრძოლა და უზომო მსხვერპლი საცაა შენის სრული გამარჯვებით დაგვირგვინდება.

შენ ყოველთვის ეყრდნობოდი შენს მაჯას, შენს მახვილ გონებას, შენს გამჭრიახობას, დემოკრატია, **მშრომელი მასსა** ვერ დაეყრდნობა სხვის იმედებს, და ის ხომ შენი პირმშოა, **მებაირახტრე.**

ერის უფლება გულისხმობს ერის **მოვალეობასაც,** და ეს კი გიკარნახებს შენ იქონიო მუდმივი მზრუნველობა შენი თავისუფლების მთელის შენი არსებობით დაცვისათვის. შენ **ყოველ წუთს** მზად უნდა იყო მყისვე გასცე შესაფერი პასუხი ყოველს შენს კარზე მომდგარ საერთაშორისო გართულებას.

**თავდაცვის ფონდი მკვეთრი იარაღია შენს ხელში.** შენ არას დროს არ დაუშვებ, რომ შენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა გარეშე ტლანქმა ძალამ ფეხქვეშ გასთელოს, არც იმას დაუშვებ, რომ შენი ჯარი და გვარდია, როცა ისინ სიკეთეს არ იშურებენ შენი ბედნიერებისათვის, მშიერი, შიშველი და წყლულ-შეუხვეველი დარჩეს.

სრულიად დარწმუნებული იმაში, რომ საქართველოს ხალხი **განურჩევლად** ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა, სქესისა და წლოვანებისა **პირნათლად** შეასრულებს თავის წმინდა მოვალეობას ქვეყნისა და შთამომავლობის წინაშე, —რესპუბლიკის თავდაცვის ფონდის მთავარი გამგეობა ამიერიდან იწყებს თავის მოქმედებას.

მთავარი გამგეობა გახსნის ადგილობრივ განყოფილებებს მთელს რესპუბლიკაში, დაუგზავნის მათ ინსტრუქციებს *) გაუწევს მათს მუშაობას ხელმძღვანელობას და კონტროლს.

**მისამართი:** ფოსტით—ტფილისი, სასახლე, თავდაცვის ფონდის მთავარი გამგეობა; ტელეგრამით—თავდაცვის ფონდი.

რესპუბლიკის თავდაცვის ფონდის მთავარი გამგეობის თავმჯდომარე **აკაკი ჩხენკელი.**

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი **სილ. ჯიბლაძე.**

საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი ლასხიშვილი.**

საქართველოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **ლეო შენგელაია.**

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარე **სპირიდონ კედია.**

საქართველოს ნაციონალური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **გრიგოლ ვეშაპელი.**

სომეხთა სარევოლიუციო პარტია დაშნაკცუთიუნის საქართველოს მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე

საქართველოს ქალაქთა კავშირის თავმჯდომარე **ნიკო ელიავა.**

საქართველოს ერობათა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე **ისიდორე სტურუა.**

საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **სეით დევდარიანი.**

საქართველოს კოოპერატივთა კავშირის თავმჯდომარე **კონსტანტინე ადრონიკაშვილი.**

ტფილისის ქალაქის გამგეობის თავმჯდომარე **ბენია ჩხიკვიშვილი.**

საკაჭრო-საბრეწველო პალატის თავმჯდომარე **დიმიტრი აფხაზი.**

ფრონტის დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე **სერგო ყორჟოლიანი.**

## ინსტრუქცია

**თავდაცვის ფონდის მთავარი გამგეობისა ადგილობრივ განყოფილებათა სახელმძღვანელოდ.**

1. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის ფონდის შესადგენათ და მის გასაძლიერებლად რესპუბლიკის ყველა ქალაქში და მაზრის ერობის სხვილ და წვრილ ერთეულში სდგება თავდაცვის ფონდის ადგილობრივი გამგეობა იმავე საფუძველზე, როგორზედაც შემდგარია მთავარი გამგეობა.

2. ადგილობრივ გამგეობის მოვალეობა არის შეაგროვოს პირველ მუხლში აღნიშნულ ფონდის შესაქმნელ გასაძლიერებლად მცხოვრებთაგან ნებაყოფლობითი გაღებული ხორბლეულობა, ფქვილეულობა და სოფლის მეურნეობის სხვა ნაწარმოები, გარდა იმ ნაწარმოებისა, რომელიც მალე ფუჭდება, ნივთები (ოქრო ვერცხლი, ძვირფასი თვლები, ნოხები და სხვა) და ფული.

3. ამ მიზნით ყველა ქალაქში ქალაქის მოურავი და მაზრაში—სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარე, ან მათი მოადგილე შეადგენს თავდაცვის ფონდის გამგეობას ქვემოაღნიშნულ წესით: თითო წარმომადგენელი შემდეგი საზოგადოებრივ დაწესებულებათა და ორგანიზაციებიდან: ქალაქებში ქალაქების და მაზრებში ერობის გამგეობიდან, საქართველოს ტერიტორიაზე მომქმედ პარტიებიდან, რომელნიც წარმომადგენელნი არიან საქართველოს დამფუძნებელ კრებაში, რაიონულ პროფესიულ კავშირიდან, კოოპერატივთა რაიონულ კავშირიდან და ვაჭარ მრეწველთაგან.

4. სამაზრო გამგეობა იმ თემში, სადაც ამას საჭიროდ დაინახავს ადგენს თავდაცვის ფონდის სათემო გამგეობას შეძლებისადაგვარად იმავე საფუძველზე, რომელიც აღნიშნულია ამ ინსტრუქციის მესამე მუხლში.

5 ადგილობრივი გამგეობა თავის წევრთა შორის ირჩევს თავმჯდომარეს, მის მოადგილეს, მდივანს, ხორბლეულობის და სოფლის მეურნეობის სხვა ნაწარმოებთა მიმღებს და ფულის და ძვირფასეულობის ხაზინადარს.

6. ადგილობრივმა გამგეობამ უნდა გამოიყოს თავისავე წრიდან საკონტროლო კოლეგია.

**შენიშვნა:** სასურველია საკონტროლო კოლეგიაში შედიოდენ პარტიების წარმომადგენელნი.

7. საქმის წარმოებისათვის და ანგარიშისათვის საჭირო შტატი ერობამ და ქალაქმა უნდა გამოჰყოს თავის მოსამსახურეთაგან უსასყიდლოდ.

8. საქონლის შენახვის, გადაზიდვის და საგზაო ხარჯს ადგილობრივი გამგეობას აუნაზღაურებს მთავარი გამგეობა სათანადო ანგარიშების და გასამართლებელ საბუთების წარმოდგენის შემდეგ.

9. ადგილობრივი გამგეობის წევრი, ან გამგეობის ნდობით აღჭურვილი დაწესებულებანი და კერძო პირები აგროვებენ მცხოვრებლებში ხორბლეულობას და სხვა ნივთებს და ფულს მთავარ გამგეობის მიერ ამ მიზნისათვის დაგზავნილ საგანგებო კვიტანციების გაცემით.

10. არავის არ აქვს უფლება ხორბლეულის და სხვის ფულის და ნივთების შეგროვებისა, ფონდის სახელით, თუ არ ექნება მათ სათანადო მანდატი ერთ-ერთ ადგილობრივ გამგეობისაგან და მთავარ გამგეობის მიერ ხელმოწერილი, მისი ბეჭედ დასმული, საკვიტანციო წიგნაკი.

11. თვითეულს შემწირველს უნდა მიეცეს ჯეროვანი კვიტანცია-შემოწირულებაში.

12. შეგროვილი ფული და ნივთები ყოველ თვის პირველ რიცხვში უნდა გამოეგზავნოს მთავარ გამგეობას პროვინციიდან ფოსტით, ხოლო ტფილისში, მიღებულ საკვიტანციო წიგნაკების წარმოდგენით.

13. შეგროვილი ხორბლეულობა და სოფლის სხვა ნაწარმოები ინახება ქალაქებში ქალაქების და სოფლად ერობათა საწყობებში.

14. ფული და ძვირფასეულობა ინახება ადგილობრივ ხაზინაში, სადაც ხაზინა არ არის—ქალაქის და ერობის სალაროში. ქალაქების და ერობათა ფონდის გამგეობანი ვალდებულნი არიან დიდი პარტიები შეგროვილი ხორბლეულობისა თვითონ გადაუგზავნონ მთავარ გამგეობას ტფილისში, ხოლო წვრილათ შეგროვილი, ინახება ზემოხსენებულ საწყობებში მთავარ გამგეობის განკარგულებამდი.

17. ყველა ქალაქის და ერობის ფონდის გამგეობა ვალდებულია ყოველ თვის პირველში აცნობოს მთავარ გამგეობას როგორც ფულის, ისე შეგროვილ ნივთების და ხორბლეულობის რაოდენობა, აგრეთვე წარმოადგინოს მოკლე მოხსენება თავისი მოქმედების შესახებ.

მისამართი მთავარი გამგეობისა: ტფილისი. დამფუძნებელი კრების სასახლე ტელეგრაფით: თავდაცვის ფონდი.

*) ინსტრუქცია იბეჭდება ამავე ნომერში. **რედ.**

## გათომის გარშემო

**ჩიჩერინის რადიო ბათომის ოკუპაციის შესახებ.**

(საქართველოში არსებულ რ. ს. ფ. ს. რ. მისიის ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენიდან)

**მოსკოვი.** 28 ნოემბერი (რადიო). საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა გარეშე საქმეთა მინისტრს კერზონს შემდეგი რადიო გაუგზავნა:

გიპასუხებს რა თქვენს რადიოზე № 103, რუსეთის მთავრობა პროტესტს აცხადებს ბრიტანეთის მიერ ბათომის ოკუპაციის შესაძლებლობის წინააღმდეგ, რაც აღნიშნული იყო ბრიტანეთის რადიოში. როგორც სჩანს, ბრიტანეთის მთავრობა ფიქრობს, რომ ამ ქალაქს, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოს ნაწილს შეადგენს, ასე თუ ისე საფრთხე მოელის. ზემოთ ნაჩვენები ბრიტანეთის დეპეშები ამტკიცებენ, რომ ბათომს მართლაც მოელის საფრთხე, მაგრამ ეს საფრთხე არის—საფრთხე ოკუპაციისა მოკავშირეთა ჯარების მიერ. ბრიტანეთის მთავრობის მტკიცება იმის შესახებ, რომ ბათომის თავისუფლებასა და საქართველოს დამოუკიდებლობას საფრთხე მოელის რუსეთის მთავრობის მხრივ, —ეს მტკიცება გამოწვეულია ინგლისის მთა-

ვრობის უცოდინარობით კავკასიის საქმეებში, ისეთივე უცოდინარობით, როგორიც გამოიჩინა ბრიტანეთის პრემიერმა საბჭოთა რუსეთთან საგარ. ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკების დროს, როდესაც მან 7 ივნისს გაკვირვება გამოსთქვა იმის გამო, რომ 7 მაისს საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის ზავი შეიკრა. წინააღმდეგ შემთხვევაში ბრიტანეთის მთავრობას უნდა სცოდნოდა, რომ რუსეთის მთავრობამ პირველმა იცნო de iure საქართველოს მთავრობის დამოუკიდებლობა, რაიც ჯერ არ უცვნია ანტანტის მთავრობებს, რომლებიც ასე დიდ ინტერესს იჩენენ საქართველოს ბედის მიმართ. ფაქტიურათ მთელი პოლიტიკა საბჭოთა რუსეთისა ახლო აღმოსავლეთში ნაკარნახევია იმ მისწრაფებით, რომ მშვიდობიანობა მიენიჭოს თვითეულ ერს და შესაძლებლობა ჰქონდეთ მათ თვითონვე განაგონ თავიანთი ბედ-იღბალი. საბჭოთა რუსეთი არასოდეს და არავითარის სახით არ ემუქრებოდა საქართველოს დამოუკიდებლობას. საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარებული იქნა ხელშეკრულებაში, რომელიც წინააღმდეგია უცხო სახელმწიფოების გემების შესვლისა ბათომში. რუსეთი სასტიკათ იცავს ამ ხელშეკრულებას, რითაც განიმტკიცებს ბრძოლა მისი პოლიტიკაც. მტრის მიერ ბათომის ოკუპაცია იქნებოდა ამ ხელშეკრულების დარღვევა და ამ თვალთახედვის ისრით მისი დაცვა არის არა მარტო საკუთარ ბათომის უზრუნველყოფის საქმე, არამედ ეს არის დასახელებულ ხელშეკრულობის დაცვის საქმეც. რუსეთის მთავრობას არ შეუძლია უბრალო მოყურადე იქნეს ასეთი მოვლენის წინაშე. ყოველ შემთხვევაში რუსეთს მთავრობა ყოველთვის სასტიკათ იცავს საქართველოს დამოუკიდებლობას და არას შემთხვევაში არ დაარღვევს საქართველოს სუვერენულ უფლებებს, არც რაიმე სხვა გზით.

**ჩიჩერინი.**

# ბაქო

**სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ.**

28 ნოემბერს, ბაქოს საბჭოს სხდომაზე საგარეო საქმეთა კომისარმა გუსეინოვმა გააკეთა მოხსენება საქართველოსთან სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ. მან აღნიშნა საქართველოს ეკონომიურ პირობების კატასტროფიული მდგომარეობა. ბიუჯეტის მხოლოდ 30% იფარებაო. საქონლის გაცვლა-გამოცვლა არ არის, სათბობი მასალა გამოიცალა; რუსეთსა და ადერბეიჯანთან სავაჭრო ხელშეკრულება საქართველოსთვის აუცილებელია. საქართველო დათმობს გზას დაადგა და შეძლებისდა გვარად დაკმაყოფილა რუსეთისა და ადერბეიჯანის მოთხოვნილება.

დადებული ხელშეკრულება უზრუნველყოფს რუსეთისა და ადერბეიჯანის ინტერესებს, ამასთანავე ხელს შეუწყობს საქართველოში რკინის გზის, ფაბრიკა-ქარხნების მუშაობას.

**სომხეთის მდგომარეობა.**

მომხსენებელი შეეხო აგრეთვე სომხეთის მდგომარეობას და აღნიშნა საბჭოთა რუსეთისათვის სასარგებლო სულიერი განწყობილება სომხეთში. სომხეთი დახმარებას ელის საბჭოთა რუსეთიდან და არა ანტანტიდან. დაშნაკელებმა უნდა დასტოვონ პოლიტიკური არენა. სომხეთის ხალხი უნდა დარწმუნდეს, რომ საბჭოთა ადერბეიჯანის და რუსეთის გლეხობა მათი კეთილის მსურველნი არიან და არა მტრები.

**სიმპატია ქემალისტებისადმი.**

ქემალის შეტევის შესახებ გუსეინოვმა სთქვა: „ქემალთა წინსვლა იმდენათაა სიმპატიურია ადერბეიჯანისთვის, რამდენათაც ის მიმართულია ანტანტის წინააღმდეგ. ვინც ანტანტის წინააღმდეგ იბრძვის ის საბჭოთა რუსეთის მეგობრად ხდებაო. ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებიდან ნათლათ სჩანს, რომ ქემალი ინგლისელებს არ შეუერთდება. და ბოლოს უნდა ითქვას, რომ საჭიროა მხოლოდ საკუთარ ძალას დავეყრდნოთ, რადგან გარეშე ძალას მხოლოდ მიზნის შემსუბუქება შეუძლიათ საბჭოთა რუსეთისათვის".

(„სლ.").

# უცხოეთი

(საინფორმაციო განყ. ცნობები).

**მოწოდება.**

„ლ უმანიტემ" გამოაქვეყნა ყველა მშრომელთადმი მიმართული მოწოდება, რომელსაც სათაურად აქვს: „მშვიდობიანობა ყველა ხალხისათვის". ამ მოწოდებაში აღნიშნულია, რომ შრომის საერთო ფედერაციამ, სოციალისტურმა პარტიამ და ადამიანის უფლებათა ლიგამ გადასწყვიტეს საერთო ნაბიჯების გადადგმა ხალხთა შორის ზავისა და მშვიდობიანობის დასამყარებლად და მათ შორის რუსეთთან მშვიდობიანობის დამოკიდებულების აღდგენა. ზემო აღნიშნული ორგანიზაციები წინადადებას აძლევენ მთელ განათლებულ ქვეყანას გაჰკიცხონ ყოველგვარი სამხედრო ჩარევა სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში, გაჰკიცხონ რუსეთის ბლოკადა და სხვ. შეერთებულმა ორგანიზაციებმა გადასწყვიტეს საფრანგეთის ქალაქებში ხალხთა შორის მშვიდობიანობის დამყარების სასარგებლოდ აგიტაციის გასაწევად მიტინგები გამართონ.

**სპეკულიანტების წინააღმდეგ.**

ადგილობრივმა ადმინისტრაციამ სასტიკი ზომები მიიღო სპეკულიანტების წინააღმდეგ. სპეკულიანტების გვარსა და სახელებს სამარცხვინო ბოძზე აკრავენ. თითოეული სპეკულიანტი დაჯარიმებულია 5.000 ფრანკით.

**ჭლექთან ბრძოლა.**

სორბონში ჰიგიენის მინისტრ ბრეტონის თავმჯდომარეობით გაიხსნა ჭლექთან მებრძოლი საერთაშორისო კონფერენციის სხდომები. განზრახულია მოაწყონ საერთაშორისო საინფორმაციო ბიურო, რომელიც სხვა და სხვა ქვეყნებს ამცნობს ჭლექთან ბრძოლის გაუმჯობესებულ საშვალებებს.

**ანარქისტების შეთქმულება.**

გაზეთი „ახალი დროის" რედაქციისა და მალატესტას ბინის გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს საბუთები, რომლებიც ამტკიცებს ანარქისტების შეთქმულების არსებობას. აღმოაჩინეს აგრეთვე შეთქმულთა სიებიც.

**სავაჭრო დამოკიდებულების განახლება.**

შვეიცარიის პრესის ცნობით ამ მოკლე ხანში მოკავშირეებსა და გერმანიას შორის განახლდება ინტენსიური სავაჭრო დამოკიდებულება. პრესა აღნიშნავს, რომ გერმანიის ეკონომიურ მდგომარეობაზე ცუდ გავლენას ახდენს კარგი ღირსების ნახშირის უქონლობაო. ნახშირის კრიზისმა იძულებული გახადა გერმანია, რომ მის მატარებელთა რიცხვი შეემცირებინა.

**პოლონეთის პოლიტიკის წინააღმდეგ.**

ლიტვის დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა ლიტვის მთავრობისადმი გაგზავნილი ჟორჟ ლეიგის ნოტა, რომელშიც ნათქვამია: რომ საფრანგეთის მთავრობა კიცხავს პოლონეთის პოლიტიკას. საფრანგეთი მზათ არის მიიღოს ზომები ლიტვის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, რომლის საზღვრებშიც უნდა შევიდეს ვილნო და მემელიო.

**საერთაშორისო კომისია.**

„ბერლინერ ტაგებლატი" იუწყება: სინდიკალისტების საერთაშორისო კავშირმა გადასწყვიტა გააგზავნოს რურის ოლქის მდგომარეობის გამოსარკვევად მუშათა საერთაშორისო კომისია.

**2.000 ლოკომოტივი.**

შვეციის პრესის ცნობით საბჭოთა რუსეთს შვეციის ქარხნებისათვის შეუკვეთია 2.000 ლოკომოტივი, რომლებიც რუსეთს უნდა გადაეცეს ამ 6 წლის განმავლობაში. ამას გარდა რუსეთმა გერმანიაში შეუკვეთა სხვა და და სხვა ფირმას 100 მილ. მარკის საქონელი. შეერთებულ შტატებში საბჭოთა მთავრობამ შეისყიდა 113 ლოკომოტივი, რომლებიც ბალშევიკურ რევოლიუციამდე რუსეთისათვის იყო დამზადებული.

**ბრიტანეთის საერთო პარლამენტი.**

„ტაიმსი" იუწყება: სერგიუმ ზემო პალატაში შეიტანა პროექტი ბრიტანეთის საიმპერიო საერთო პარლამენტის დაარსების შესახებ. პარლამენტში წარმოდგენილი იქნება ინგლისის ყველა ახალშენი. ამ პარლამენტმა უნდა განიხილოს ბრიტანეთის საერთო ხასიათის საკითხები, მათ შორის საგარეო პოლიტიკისა და საგარეო ვაჭრობის, საფინანსო სისტემისა, თავდაცვისა და სხვ. შესახებ. ამასთანავე იარსებებს ინგლისის ზედა და ქვედა პალატები და ახალშენთა წარმომადგენლობითი დაწესებულებანი.

# დეპეშები

(საქართ. დეპ. სააგენტო.)

**ლონინის ცნობები.**

**ესად ფაშის მკვლელი.**

ნოემბრის 29 პარიზში დაიწყო გასამართლება ახალგაზრდა ალბანელის ავენი გუსტემანის, რომელმაც წარსულ ივნისში პარიზში მოჰკლა ალბანეთის მთავრობის მეთაური ესად ფაშა სასტუმროდან გამოსვლის დროს. ბრალდებულს, 25 წლის სტუდენტს იცავს დე-მონზილი. თავმჯდომარეობს დრიო, რომელმაც დაკითხვის დროს სთქვა, რომ ესად ფაშა იყო საფრანგეთის მეგობარი და მან დიდი დახმარება აღმოუჩინა მოკავშირეებს იმ დროს, როდესაც ისინი იძულებულნი იყვნენ სერბია დაეტოვებიათ. დიდქალი მიწამებია გამოწვეული.

**კონფერენცია ლონდონში.**

ლონდონში მოლაპარაკება ამ ჟამად შეწყვეტილია ლეიგის პარიზში გამგზავრების გამო. ინგლისის მთავრობა დარწმუნდა, რომ მას არ შეუძლია ხელი შეუშალოს კონსტანტინეს დაბრუნებას. მხოლოდ ინგლისის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია მოსთხოვოს ყოფილი მეფეს სერიოზული გარანტიები სამშაბათს გაგრძელდა გაცვლა-გამოცვლა ინგლისის წარმომადგენლებ ლორდი კერზონ და სერვეი კროს, საფრანგეთის—პერტელო და პოლპენ კამბონისა და იტალიის—გრაფ სფორცას შორის.

**ნოტა ელჩთა კონფერენციას.**

გერმანიის მთავრობამ ელჩთა კონფერენციას მიმართა ნოტით, სადაც აცხადებს პროტესტს ბოდენის ტბაზე განადგურებულ 7 ჰიდროპლანის სამაგიეროთ დირიჟაბლების მოთხოვნის გამო. იმ შემთხვევაში, თუ მოკავშირეები პროტესტს უსაფუძვლოთ ჩასთვლიან, გამოთქმულია აზრი, რომ ეს საკითხი არბიტრაჟის საშუალებით გადასწყვიტონ.

**გემი „სმირნა".**

გერმანიის გემი „სმირნა" ნავთსადგურში შემოვიდა. ეს პირველი გერმანული გემია, რომელიც 1914 წლის შემდეგ ალჟირს ესტუმრა.

**პუანკარეს წერილი.**

„მორნინგ პოსტმა" გამოაქვეყნა პუანკარეს წერილი საფრანგეთისა და ინგლისის დამოკიდებულების შესახებ. ავტორი აღნიშნავს, რომ საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობათა შორის საგარეო პოლიტიკის საკითხების შესახებ არსებობდა მცირედი უთანხმოებანი, რომელსაც არასოდეს ხელი არ შეუშლია საფრანგეთსა და ინგლისის მეგობრულ დამოკიდებულებისათვის. პუანკარე უარყოფს ინგლისის ზოგიერთი გაზეთების მიერ წამოყენებულ ბრალდებას საფრანგეთის წინააღმდეგ, რომელიც საფრანკეთის იმპერიალიზმს ეხება და აღნიშნავს, რომ საფრანგეთი იმპერიალისტური ქვეყანა არ არის, მას სურს მხოლოდ ვერსალის ხელშეკრულების სისწორით აღსრულება. პუანკარე ამარტლებს აგრეთვე საფრანგეთ-ბელგიას შორის დადებულ სამხედრო შეთანხმებას, რომელიც თავდაცვითი ხასიათის არის. პუანკარე წინააღმდეგია, რომ გერმანიას შეუმცირონ გადასახდელი ნახშირის რაოდენობა.

**სამხრეთ-სლავიის დამფუძნებელი კრება.**

სამხრეთ-სლავიის დამფუძნებელ კრების არჩევნების შედეგი ჯერ კიდევ გამოურკვეველია. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბელგრადიდან აირჩიეს დეპუტატათ.

**მოკავშირეთა კომისიის მოთხოვნა.**

კუკსგაფენში მომხდარ ინციდენტის გამო მოკავშირეთა კომისია გერმანიის მთავრობისაგან მოითხოვს: 1. მთავრობის მიერ ბოდიშის მოხდას, 2. კომენდანტის გადაყენებასა და სასტიკათ დასჯას, 3. მკაცრ გამოძიებას და 400,000 მარკის გადახდას.

# ახალი ამბები

**საბჭოთა თავმჯდომარე.** კოოპერატივთა ყრილობის თავმჯდომარის ხელის მოწერით მთავრობის თავმჯდომარის სახელზე შემდეგი დეპეშა მოვიდა: საქართველოს კოოპერატიულ კავშირთა რწმუნებულების პირველმა ყრილობამ ერთხმად აგირჩიათ ყრილობის საპატიო თავმჯდომარეთ, რასაც დიდი კმაყოფილებით გაცნობებთ. ყრილობის თავმჯდომარე გრ. ურატაძე.

**გვარდიის დღე.** მთავარმა შტაბმა საოლქო და სარაიონო შტაბებს წინადადება მისცა, რაც შეიძლება ბრწყინვალედ გადაიხადონ გვარდიის დღე დეკემბრის 12. „გვარდიის" დღის დღესასწაულის წესრიგი განსაკუთრებით იქნება გამოცხადებული.

**საკონცესიო ხელშეკრულება.** მიწათმოქმედების ტყეთა ინსტრუქტორმა მიწათმოქმედების მინისტრს წარუდგინა პროექტი საკონცესიო ხელშეკრულებისა ჩუბის ხევის და ბზიბის აგარაკთა ტყეების სიმდიდრის ექსპლოატაციის შესახებ. განზრახულია დაიდვას კონცესია 40 წლ. ვადით იმ პირობით, რომ ტყის ექსპლოატაცია ხდებოდეს თანახმად ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვისა. ტყე უნდა გაიტანონ უცხო ბაზარზე, ამიტომ ენგურის და ბზიბის ნაპირებზე სამი წლის განმავლობაში უნდა მოეწყოს ქარხნები და ფაბრიკები. საკონცესიო ხელშეკრულების პროექტში წინადახედულია ფაბრიკებში დამუშავებული ხე-ტყის ძასალის მეოთხედ ნაწილის მთავრობის განკარგულებაში გადაცემა.

**ტეხნიკურ ხაზ. კრება.** პარასკევს, 3 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ეროვნულ (ყოფილ ფრეილინის) ქ. № 11, შესდგება საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც მოხსენებას წაიკითხავს ინჟენ. პროსინსკი შემდეგ თემაზე: „შედეგი გამოკვლევისა საულელტეხილო რკინის გზისა ბესლან-ქუთაისს - კოპიტნარი". შეუძლიანთ დაესწრონ სხვა ტეხნიკურ საზოგადოების დაინტერესებულ დაწესებულებათა წევრებსაც.

**სამხედრო-ხავეტ. ხაფერშლო სკოლაში.** კურსი დაასრულეს ფერშ.-ვეტერინ. სახელწოდების მიღებით შემდეგმა პირებმა: არზიანი სამსონ, ბერძენაძე დავით, გოცაძე ივანე, კევლიშვილი მიხეილ, კოპლატაძე ეგნატე, მიქაძე ალექსანდრე, ხევსურიანი აკაკი, ამაშუკელი დიმიტრი, ბარამიძე ვლადიმერ, დათუნაშვილი ალექსანდრე. ინაშვილი ივანე, ქუმსიშვილი პავლე, ლაითაძე პავლე, ფრუიძე ერმილე, რობაქიძე ალექსანდრე. სიჭინავა არტემ, თალაქვაძე შალვა; ამავე საფერშლო სკოლასთან არსებულ სამსწავლო სამჭედურში სწავლა დაასრულეს და მჭედლის სახელწოდება მიიღეს: ბურძენიძე სერგეიონ, ბაკაშვილი მიხეილ, ხუსკივაძე პოლიკარპე, ჩაფიჩაძე ალექსანდრე, ბაკურაძე ერმილე, ჭანკვეტაძე გრიგოლ, წიქვაძე პლატონ.

# ტფ. ქალაქის თვითმმართველობაში

— ბინის საკითხის საქმე საქალაქო დებულების თანახმად დაეკისრა ქალაქის გამგეობას. ამისათვის ყოველგვარი პასუხისმგებლობაც ამ საკითხის გამო გამგეობას დაეკისრა.

— ქალაქის ბინების აღწერა უნდა მოხდეს ნაწილობრივ.

— ბინებზე ახალი ნორმების გამომუშავების საკითხი გატარებულ იქნება ქალაქის საბჭოს დადგენილების მიხედვით.

— თანახმად გამგეობის წევრის აკ. პაპავას მოხსენებისა დახუოულ რესტორანების „ველიკობრიტანიის" და „ვოსტოკის" შენობები გადაეცემა სოციალურ დახმარების განყოფილებას ქალაქის სასადილოების გასახსნელად.

— საჭირო მასალების გაძვირების გამო გამგეობის დადგენილებით საპონზე გადიდებულ იქმნა ტარიფი 1) მუშა-მოსამსახურეებს საპონი ფუთი მიეცემათ 4.000 მან.; 2) სასურსათო განყოფილებას ფუთი 6.000 მან.; 3) კერძო პირთ—თანახმად ბაზრის ფასისა.

— მეორე კომისარიატის ორპირის ქუჩაზე უფასო წყალსადენის ონკანის დასადგმელად გაღებულ იქმნა 60.860 მანეთი, ხოლო ნაძალადევის უბანში ონკანის დასადგმელი—43.400 მანეთი და სოლოლაკის უბნების გასანათებლად—266.800 მან.

— სასაკლაოდან აიკრძალა საქონლის რქების გატანა. ეს ბრძანება გამოწვეულია იმით, რომ ამხ. „გულხარანს" მიზნად აქვს ტფილისში (მეჩნიკოვის ქუჩაზე) გახსნას ქარხანა სადაც რესპუბლიკის საჭიროებისათვის დამზადდება საჭირო სავარჯლები, ფოლაქები და საზოგადოდ რქის ნაწარმოები.

— სოციალურ დახმარების განყოფილებას ნება დაერთო აიღოს უმუშევართა ფონდიდან 150.000 მანეთი სესხად სახალხო კინოთეატრის მოსაწყობად იმ ანგარიშით რომ ეს ფულები ანაზღაურებულ იქნება კინოთეატრის შემოსავლიდან.

# მიწად-მოქმედების სამინისტროში

**„ზოოტეხნიკური" ბიუროს დაარსება.**

მესაქონლეობის და მერძეობის გასაუმჯობესებლად აგრონომიულ დახმარების სექციასთან არსდება „ზოოტეხნიკური" ბიურო, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სპეციალისტ „ზოოტეხნიკები" და ინსტრუქტორები. ბიუროს გამგეთ ინიშნება მესაქონლეობის უფროსი სპეციალისტი თამამშვილი, ბიუროს უმთავრესი მიზანია: შეისწავლოს მესაქონლეობის სხვა და სხვა დარგის მდგომარეობა, გახსნას კულტურულ განმანათლებელი სექციები ამ დარგისთვის, მიიღოს ზომები—ტეხნიკური პერსონალის გასაუმჯობესებლად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსცეს სხვა და სხვა სახელმძღვანელოები, დაარსოს ორგანიზაციები, მოაწესრიგოს მესაქონლეობის საჭირო მასალის მოწოდება და სხვა.

**ზეთის ხილის შესაძენათ.**

სანერგეს გამგეს ნება მიეცა ყოველ წლიურად კერძო მესაკუთრეებისგან 50 ფუთი ზეთის ხილი შეისყიდოს ქარხანაში გადასამუშავებლად. ამ საჭიროებისათვის გაღებულ იქნება 200.000 მანეთი.

**დახმარება ბათომის საცდელ დაწესებულებაზე მუშა-მოსამსახურეებს**

მუშა-მოსამსახურეთა უკიდურეს ეკონომიურ მდგომარეობის შესამსუბუქებლად მიწადმოქმედების სამინისტროს საკრებულომ საჭიროდ დაინახა განყოფილების „დაწესებულებებს, განსაკუთრებით კი ბათომის რლქში, გაეგზავნოთ სამინისტროდან საჭირო სურსათსანოვაგე, ხორბალი და სხვა პირველ საჭიროების საგნები.

## ფინანსთა სამინისტროში

გერმანიაში ყოფი საქართველოს კომერციული აგენტი იტყობინება ბერლინიდან, რომ მის მიერ შეძენილია გერმანიაში საქართველოს საჭიროებისათვის დიდ ძალი სასოფლო სამეურნეო იარაღები, რკინის გზების მასალები, ელექტრონის და ტელეფონის არმატურერები, წყალსადენთა და ტრამვაის ხელისაწყობებიო. შესყიდული საქონელი მოკლე ხანში გამოიგზავნება საქართველოში. ამასთანავე გერმანულ ფირმებს შეუკვეთეს საქართველოსათვის საჭირო საქონლის მეორე პარტია.

ფინანსთა მინისტრის საბჭოს სხდომაზე ნოემბრის 29 გაირჩა საკითხი საქართველოს ცენტრალურ გადაზღვევის საზოგადოების „კავშირის“ წესდების დამტკიცების შესახებ. საკითხის განხილვის შემდეგ დაადგინეს: საზოგადოებას აქვს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. მისი წესდება გადაეცემა საგანგებო კომისიას, რომელშიაც შევლენ ფინანსთა სამინისტროსა და ვაჭრობა მრეწველობის პალატის წარმომადგენელები. კომისიას ევალება სასწრაფოდ დაიმუშაოს აღნიშნულ საზოგადოების წესდება. ამასთანავე ამ კომისიამ უნდა გამოსთქვას აზრი, შესახებ საკითხისა, თუ როგორ ფორმაში შეუძლია მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფოს საზოგადოების ოპერაციებში და აგრეთვე მისი კონტროლის განხორციელებაში. შემდეგ საბჭომ განიხილა საკითხი „ფრანგულ-ქართულ სავაჭრო კომპანიის“ საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ. საბჭომ დაადგინა, მიეცეს ნებართვა საზოგადოებას და ეთხოვოს ფინანსთა მინისტრს საზოგადოების წესდების დამტკიცება. „ამერიკა-ამიერ კავკასიის სავაჭრო კორპორაციას“ „ამერიკის“ სააქციონერო საზოგადოების წესდების განხილვის საკითხი გადაიდვა შემდეგ სხდომისათვის, როდესაც საზოგადოების დაარსების ინიციატორებს სათანადო მასალების წარმოდგენა ევალებათ. დასასრულ განიხილეს ტფილისის და ნოტანების საბაჟოების საკონფისკაციო საქმეები. საბჭო დაეთანხმა იურიდიულ კომისიის დასკვნას.

## სასურსათო ცხოვრება

სასურსათო განყოფილება იუწყება: განყოფილება შეუდგა იაფფასიან პურის გამოცხობას. პური გირვანქა 75 მან. გაიყიდება. განყოფილება ამ პურს ქალაქის გარეშე უბნებში მყოფ სასურსათო მაღაზიებს მიაწოდებს. შემდეგ ასეთ პურს ცენტრალურ ადგილებში არსებულ სასურსათო მაღაზიებსაც მიაწოდებენ.

— ხოშტარიას ქარხნების ადმინისტრაციამ მიმართა ქალაქის თვითმართველობას შუამდგომლობით, დაუთმოს მას ქალაქში ბინები იაფი საპნის სავაჭროდ, ვინაიდან ამ ჟამად საპონი შუამავლების მეოხებით ძვირად იყიდება.

— ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტში შესდგა მუშათა და მოსამსახურეთა მატერიალურ მდგომარეობის გამომრკვევ კომისიის პირველი სხდომა. კომისიას შემდეგი გეგმა აქვს დასახული: უნდა გამოირკვეს მუშების და მოსამსახურეების როგორც ეკონომიური მდგომარეობა აგრეთვე მათი კვების საკითხი და სხვა. გამოკვლევის საფუძველად მიღებულია არა ოჯახი, არამედ სამეურნეო ერთეული.

## გზათა დეპარტამენტში.

მიმოსვლის განყოფილებამ გზათა დეპარტამენტში შეიტანა მოხსენება მალაკანთა ქუჩის გაფართოების საკითხის შესახებ. ამის საჭიროება დასაბუთებულია მით, რომ ტფილისის სადგურის სამგზავრო შენობის გაფართოების გამო, მოედანი სადგურის წინ საგრძნობლად შემცირდა, რაც ხელს უშლის სადგურის წინ როგორც მგზავრთა ისე ეტლების მიმოსვლას, განსაკუთრებით კი მალაკანთა ქუჩის ახრბოთ. აქიტომ საჭიროა მალაკანთა ქუჩის გაფართოება. ტფილისის ქალაქის თვითმართველობა პრინციპიალურად არ ეწინააღმდეგება ამ პროექტს, მაგრამ აღნიშნავს, რომ ქალაქს არ აქვს ამ ჟამად სათანადო თანხა ამ საქმისათვისო. მიმოსვლის განყოფილება სთხოვს გზათა დეპარტამენტს იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე სათანადო თანხის გადას. დებათ.

— რკინის გზების სამართველოს კომერციულმა ნაწილმა გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის საბჭოს წარუდგინა მოხსენება „ძმები ნობელები“-ს ამხანაგობასთან ხელშეკრულების აღდგენის საკითხის შესახებ. ხელშეკრულება შეეხება ბათომის სადგურთან არსებულ დასატვირთავ ქუჩაბანდების ექსპლოატაციას. ხელშეკრულება ბათომში ოსმალთა ბანდების შესვლის გამო გაუქმდა 1918 წ. ნოემბრის 1. ამ ჟამად ამხანაგობა ითხოვს ხელშეკრულების აღდგენას ახალი ვადით. სამმართველო იძლევა წინადადებას აღადგინონ ხელშეკრულება სამი წლის ვადით, ამასთანავე ერთი წლის საიჯარო გადასახადი წინდაწინ უნდა იქნას შეტანილი.

## ერობა

**ლეჩხუმის სამაზრო ერობაში.**

მობილიზაცია მაზრაში კარგად ჩატარდა ყველა თემის გამგეობებმა არაჩვეულებრივი სიფხიზლე და ენერგია გამოიჩინეს.

— სვანეთის კომისარი გაბლიანი გამგეობამ გადააყენა სამსახურიდან და პასუხისგებაში მისცა დადის მიდამოებში ლტოლვილ ლაგოფეტის გამძარცველთა წინააღმდეგ სრული უმოქმედობისათვის.

— სვანეთის სახ. სკოლის მასწავლებელი ბესარიონ ხერგიანი გამგეობამ პასუხისგებაში მისცა მაზედ სკოლების შესაკეთებელი ფულების გაფლანგვისათვის და გამგეობაში ყალბი საბუთების წამოყენებისათვის.

— გამგეობამ განიზრახა ააგოს ცაგერში დიდი სახლი მოსამსახურეთა ბინებათ სადაც მოთავსებული იქნება სამკითხველო და სასცენო დარბაზი წარმოდგენისათვის. ამ მიზნით მან მასალის დათმობა თხოვა ხანის ხეტყის მრეწველთა ამხანაგობას, რომელმაც გამგეობას უსასყიდლოთ დაუთმო 200 ცალი დიდი ხე.

— გამგეობამ მაზრაში აგრონომათ მოიწვია ბ. ციციანოვი, რომელიც ჩამოვიდა და თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

— ცაგერის უბნის კომისრათ დაინიშნა ბ. მანაგაძე, ალპანის პ. ახვლედიანი, სვანეთის— მ. ასათიანი.

— გამგეობამ შეიძინა დიდძალი, მატყლი, ნავთი, მარილი, ფართალი და ბაწარი, რომელიც კოოპერატივების საშუალებით მაზრაში ანაწილებს. („ს. დ.)“

## ხელოვნება

**„უგვირგვინო მეფენი“.**

მეორე სახელმწიფო თეატრში ნოემბრის 30 ს დასდგეს ალ. შანშიაშვილის პიესა „უგვირგნო მეფენი“. პიესა ისტორიულია და ეხება ჩვენი ცხოვრების იმ ეპოქას, როცა საქართველო დაყოფილი იყო რაოდენიმე საერისთავოდ, საქართველოს ყარს ეხვიენ აუარებელი მტრები, რომლის დასამარცხებლად საჭირო იყო საქართველოს ყველა ნაწილების შეერთება, მთლიანი საქართველოს შექმნა, მაგრამ მაშინდელი გაბატონებული კლასი,—თავად-აზნაურობა ძალიან ცოტას ზრუნავდა საქართველოს გაერთიანებისათვის; ბევრს მათგანს სრულიად დაავიწყდა თავის მოვალეობა სამშობლოს წინაშე; გამეფდა მეფესთან დაახლოვებულ თავად-აზნაურთა შორის ინტრიგანობა; თვითეული მათგანი ოცნებობდა ესარგებლა საქართველოს მაშინდელი მდგომარეობით და ხელთ ეგდო სამეფო სკიპტრა და გვირგვინი; ამისათვის ისინი არავითარ მდაბალ-ხარისხოვან საშუალებას არ ერიდებოდენ; ერთი ამის საუკეთესო ტიპია პიესაში შადიმანი, რომლის მოლალატეობრივი ნიჭი, ახალ-ახალ გამოგონებული შავი საიდუმლო მახინაციები უმაღლეს წერტილამდე აღწევს სამეფო გვირგვინის ხელში ჩასაგდებათ; ეს ერთი უგვირგვინო მეფეთაგანი სამშობლოს ინტერესს, ადამიანთა სიცოცხლესაც კი არ ზოგავდა მხოლოდ როგორმე განხორციელებია თავისი გულის ზრახვანი, რომლის მსხვერპლი კიდევაც გახდა პიესის ერთი გმირი თეკლე, და გიორგი საკაძისა და ცოლი ახალგაზრდა მეფის ლუარსაბისა. გიორგი საკაძე, რომელიც არის უმთავრესი გმირი პიესისა იმ დროინდელი ეპოქის ისტორიული პირია, მხოლოდ ის ერთად ერთია, რომელიც დღე და ღამ ზრუნავს, რათა საქართველო გადაარჩინოს შემოსეულ მტერთაგან; ის იმდენათ აღტყინებულია სამშობლოსადმი სიყვარულით, რომ თავისი მცირეოდენი მხედრობითაც ზედიზედ ამარცხებს მტერს; მაგრამ მას ვერ იპყრობს განდიდების სურვილი, სამეფო გვირგვინის ხელში ჩაგდება, მას ამოძრავებს მხოლოდ კეთილშობილური გრძნობა, სამშობლოსადმი თავდადება, რისთვისაც ის სწირავს თავის დას თეკლეს, რომელიც ამორჩეულია სადედოფლოდ შადიმანის მიერ თავისი მზაკვრული მიზნების განსახორციელებლად. მაგრამ მარტო თეკლეს მსხვერპლი არ გამოდგა საკმარისი ბრწყინვალე წოდების, „უგვირგვინო მეფეების“ გასამარჯვებლად, მათ იერიში მიიტანეს გიორგი საკაძეზედაც, რომლის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, მაგრამ კახაბერის უანგარობამ, მისმა მოუსყიდავმა სულმა გადაარჩინა გიორგი საკაძე.

ასეთია სულ მოკლედ პიესის შინაარსი. საერთოდ პიესაში დაცულია ზოგი ისტორიული ფაქტები ჩვენი ცხოვრებიდან, რაც უფრო მეტ შინაარსს აძლევს პიესას. ეს პიესა ჩვენ დროს შესაფერისად მიგვაჩნია, რადგანაც დღესაც საქართველოს გარს ახვევია მტრები, რომლის შესამუსრავათ საჭიროა მთლიანი საქართველოს ფეხზე ადგომა, და არა დაქსაქსვა და შენ-ჩემიანობა; ისტორიული ფაქტები მეორდება ხოლმე ერის ცხოვრებაში.

პიესა კარგის ენით არის დაწერილი, ლექსთა წყობაც საკმაოდ დაცულია.

მოთამაშეთა შორის აღსანიშნავია ჭიაურელი ახალგაზრდა მეფის როლში; ამ ახალგაზრდა მსახიობის ნიჭი უდავოა, ჩვენ მაზედ დიდ იმედებს ვამყარებთ.

კარგი გიორგი საკაძე იყო ბ ნი ყალაბეგიშვილიც, ამ როლისათვის მას ხმაც შესაფერისი აქვს და ახოვანებაც, მხოლოდ მიუხ დავათ იმისა, რომ გიორგი საკაძე საერთოდ დინჯი და ბრძნულად შორს მჭვრეტელი იყო, პიესაში მაინც არის ზოგი ისეთი ადგილები, სადაც საჭიროა მეტი სიმკვირცხლე, მამაცური და გამბედავი კილო და აჩქარებული ტემპით საჭირო ჟესტიკულიაციები; ზანტი მიხვრა-მოხვრა იმ დროს, როდესაც წყდება სამშობლოს ყოფნა არყოფნის საკითხი არ შეეფერება ისეთ გმირს, გამოჩენილ მთავარსარდალს, როგორიც გიორგი საკაძე იყო.

ძალიან კარგი შადიმანი იყო ბ. კორიშელი მისმა მოხდენილმა თამაშმა ნათლად განასახიერა ძველი საქართველოს გვირგვინის მაძიებელი თავადი. ქ-ნი ამირეჯიბი შეუფერებლად მიგვაჩნია თეკლეს როლში. მიუხედავათ იმისა, რომ ამ მსახიობ ქალს იანტონაციაც კარგი აქვს, სინაზეც ხელს უწყობს და შესაფერისი სასცენო მანერებიც კარგად აქვს შეთვისებული. მასიური სცენა, წვეულება გიორგი საკაძესთან ვერ იყო მხიარულად შესრულებული, მაგრამ რა გაეწყობა, რიგიანად კახური „მრავალ ჟამიერის“ მღერა არ არის მაინც და მაინც სავალდებულო კარგი მსახიობისათვის. კულისების იქით, რომ მოეწყოთ კახური სიმღერების კარგი მომღერალთა გუნდი ეს სცენა უფრო სამხიარულო და მიმზიდველი იქნებოდა.

ეს სპექტაკლი მუშებისათვის იყო დადგმული და ალბად მიტომ იყო, რომ იშვიათად სჩანდა ცარიელი სკამები; თორემ ჩვენმა ინტელიგენციამ თუ არისტოკრატიამ (?) ოპერას უფრო მიაჩვია ყური, ამისათვის ის უფრო ხშირად ოპერო თეატრში დაიარება. სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ჩვენი ხალხი თანდათან უფრო იყვარებს თეატრს, წარმოდგენას, საერთოდ ხელოვნებას, რასაც სრული იმედი გვაქვს ჯეროვანად შეუწყობს ხელს ჩვენი დასი.

№ 82.

S. P. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოდ თეატრის დირექციის საყურადღებოთ შემდეგი გარემოება: მუშათა სპექტაკლების დღეს ხშირად იყიდება ზოგიერთი რედაქციის ადგილები წინასწარ გაუფრთხილებლად, რის გამო უხერხულ მდგომარეობაში ვარდება რედაქციის წარმომადგენელი. მაგალითად, ხსენებულ სპექტაკლზე გაყიდული იყო როგორც ჩვენი რედაქციის ადგილი ისე სხვა რედაქციების გარდა „ერთობისა“ და „სახ. საქ.“. რას ნიშნავს ასეთი უპირატესობა ჩვენ ვერ გაგვიგია, მხოლოდ საჭიროა საერთო მიღებული წესით არ იყიდებოდეს არასოდეს სარედაქციო ადგილებზე ბილეთები, რადგანაც რედაქციებსაც ყავს ხელ-მოკლე მუშა მოსამსახურეები; ეს დიდ ზარალს თეატრს არ მისცემს, პრესის პოსტიჟი კი ამას უსათუოდ მოითხოვს.

## განცხადებანი


დაიკარგა პასპორტი № 120 იდრისი იუსუფოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3984 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა ადილ გაჯიევის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფრ. სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3985 3—1

აქციზის სამმართველო აცხადებს, რომ საარაყე ქვაბის პატრონმა ყაზარა რევაზოვმა დაჰკარგა თავის საარყე აპარატის გაზომვის ოქმი. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3986 3—1

დაიკარგა მოწმობა მეხუთე ვაჟთა გიმნაზიის მერვე კლ. მოწაფის ალექსანდრე გოსტმანის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4001 3—1

დაიკარგა პასპორტი № 612 იახია ბახრამოვის სახელზე. მიღებული შუშის მაზრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3997 3—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 2530 ლევან გრიგორის ძე შალეგოვის (იგივე შალიკოვის სახელზე მიღებული ტფ. მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3998 3—1

დაიკარგა ტფ. პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან მიღებული მოწმობა სტ. ვლადიმერ შჩეპკინის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4004 3—1

დაკარგულია პასპორტები სოფიო მიხეილის ასული ლეონტოვიჩის, ევგენი კონსტანტინეს ძე ლეონტოვიჩის და მარიამ კონსტანტინეს ასული ბაიკოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3990 3—1

დაიკარგა პასპორტი ტატიანა პავლეს ასული კოზლოვის სახელზე, მიღებული მეთორმეტე კომისარიატიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3991 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა არშაკ მიხეილის ძე არზუმანოვის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3987 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა ბაგდან რომანის ძე არზუმანოვის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3988 3—1

დაიკარგა ორი თვის შვებულების ბარათი № 3932 არშაკ ავეტიკას ძე მარტიროსოვის სახელზე, მიღებული მე-5-ე ქვეითა რაზმიდან გაუქმებულად ჩაითვალოს. 3989 3—1

დაიკარგა პასპორტი სედრაკ არაქელოვის სახელზე, მიღებული სომხეთის წარმომადგენლისაგან საქართველოში, და მეეზოვეთა კავშირის წიგნი. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3993 3—1

ტფილისის ეპარქიის სამიტროპოლიტო სასამართლოში ივლიანე თადეოზის ძე პაიჭაძემ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი სიმა იგივე დებორა იაკობის ასული პაიჭაძისა, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1915 წელს უკვალოდ დაიკარგა 1915 წლიდან, ყველა ვინც იცის სიმა დებორა პაიჭაძის მისამართი, საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით ვალდებულია სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა ორი თვის განმავლობაში. 3983 3—1


სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი